# მომავალი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 76 პარასკევი, 27 ნოემბერი 1909 წ. № 76

გაზეთი „მომავალი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. პირველ ნოემბრიდან წლის ბოლომდე თფილისში 1 მან. 60 კაპ. თფილისს გარით 1 მან. 80 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

განცხადებეს ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელზე—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ერთი შაური. რედაქციის ადრესი: თფილისი, რუსის ქუჩა № 3.



ხელის მოწერა მიიღება 1910 წლისათვის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „მომავალი“

1910 წელსაც გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წელს გამოდის. გაზეთი წლიურათ ეღირება თფილისში და თფილის, გარეთ 7 მან., ნახევარ წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ 14 მ. წლით, ნახევარი წლით 7 მ. ხელის მოწერა მიიღება თფილისში «მომავალი»-ს კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კვიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში—მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში პ. ურუშაძესთან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. «Шрома», Калистрату Конст. Цуладзе.

წარმოდგენა 18. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 18.

დილით: **სადღესასწ. წარმოდგენა** დილით

კვირას, 29 ნოემბერს, 1909 წ. ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის

30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავათ დილით: გადახდილ იქნება დღესასწაული გუნდისა და ორკესტრის მისალმებით, შემდეგ მიულოცავენ დაწესებულებათა, საზოგადოებათა და სხ. დეპუტაციები. გუნდი ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა და ორკესტრი **ზ. პ. ფალიაშვილის** ლოტბარობით. დილის მილოცვათა შორის მომღერალი **ი. ა. სარაჯიშვილი** იუბილიარს უმღერებს თავის ადრესს. დილის დღესასწაული დაიწყება 12 საათზე.

**საღამოთი**

**ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის** მონაწილეობით ქართულ დრამ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: I **„ორი ობოლი“** მე—5 მოქ. დენერისა, თარგ. ა. ცაგარლისა. II **„დაქცეული ოჯახი“** მე—3 მოქ. გ. სუნდუკიანცისა. III **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის დღესასწაულის** გადახდა და მილოცვა ქართველ მსახიობთა მიერ. IV **„ხანუმა“** 1 მოქ. ა. ცაგარლისა.

— წარმოდგენის მთელი შემოსავალი და აგრეთვე ფულით შემოწირულებანი გადაიდება ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის მოხუცებულების უზრუნველ საყოფელ ფონდის გასაძლიერებლათ —

— ფულით შემოწირულებანი უნდა გამოიგზავნოს სადღესასწაულო კომიტეტის ხაზინადრის ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილის სახელზე. —

ბილეთები იყიდება 20 ნოემბრიდან ქართული თეატრის კასაში.

ქართ. დრამ. საზოგადოების გამგეობა და სადღესასწაულო კომიტეტი.

## თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 10½—11.

**ზურკო ვ. ა.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**ძიძოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინაგანი. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 1—2.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—2½ ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—2½ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—10.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკაც. საბებიო. ყოველ დღე 1—2 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტეროლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—46)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შეღავათიანი საფასურით.

## ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695)

**ექ. ს. ვაშაყმაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.

**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ ავათმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე**: ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი**: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ბ. ა. პოპოვი**: ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი**: სამშაბათს ხუთ. და შაბათს 2—2½ ს.; თვალის ავათმყოფ.

**ექ. ე. გ. ფედოროვი**: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

(100—46)

## მკერვალი ქალი

ვღებულობ საკერავებს: ქალებისა და ბავშვების ტანისამოსს, აგრეთვე ყოველ ნაირ თეთრეულებს.

**ადრესი**: კირპიჩნი პერეულოკი, № 2.

ქართული — ავლაბრის თეატრი — წარმოდგენა № 10.

(დირექცია ამო-ხარაზიანი)

**შაბათს, 28 ნოემბერს, 1909 წ.** ქართულ დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება:

## ქართველი დედა

ისტორიული დრამა 4 მოქ. ავქ. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ✦ ადგილების ფასი 10 კ.-დან 80 კ.-მდე.

რეჟისორი ს. სვიმონიძე — გამგე თ. ნასიძე

**ვერის სახალხო აუდიტორია**

შაბათს, 28 ნოემბერს სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება

## სამხედრო ბანაკში

დრამა 4 მოქმ. ბეიერლეინისა, თარგ. ა. იმედაშვილისა.

ადგილების ფასი 5 კ.—25 კ. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

**თფილისის სახაზინო თეატრი**

საოპერო ამხ. ანტონ ეიხენვალდის გამგეობით დღეს, 27 ნოემბერს თფილისის ქალთა უმაღლეს კურსების ღარიბ მსმენელთა სასარგებლოთ წარმოდგენილი იქნება 4 მოქმედებიანი ოპერა ჯუზეპე-ვერდის 1) **რიგოლეტო**; მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები. ქ-ნნი: დე-ვოს-სობოლევა, ვოლსკაია, ელაგინა; ბ-ნნი: კორჩმარევი, სოკოლსკი და სხვა. 2) **კოპელია** ბალეტი ქ-ნ ოსსოვსკაიას მონაწილეობით. ბილეთები იყიდება 25-დან თეატრის კასაში. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია. შაბათს, 28 ნოემბერს, gala წარმოდგენა სრული საოპერო ანსამბლით **„სიყვარულის ღამე“**. კვირას, 29 ნოემბერს, ორი წარმოდგენა: დილით დაკლებულ ფასებში 20 კაპ-ნ **„კორნევილის ზარები“**. საღამოს **„გუგენოტები“**. მზადდება წარმოსადგენათ **„გამარჯვებული სიყვარულის სიმღერა“**.

კბილის ექიმი

## რომანიშვილი—დგებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

კბილის ექიმი

## ს. ვაშაყმაძე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.

კბილის ექიმი

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—9 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

დ. ჭიათურაში **კბილის ექიმი**

## ე. ტ. ლორის-მელიქოვი

ღებულობს ავათმყოფებს დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე.

ადრესი: გ. გაჩეჩილაძის სახლი, ვოგზლის ახლო.

## ბათუმში რკინის გზის შკაფი

გადმოვიდა ჩემ ხელში, ამიტომ ვაცხადებ რა, რომ შეიძლება ჩემთან შეძენა ყოველ ნაირი ქართული და რუსული ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოების, როგორც ადგილობრივის, აგრეთვე სატახტო ქალაქის ჟურნალ-გაზეთებისა, წიგნებისა და საუკეთესო ღია წერილებისა. აგრეთვე ჩემთან მიიღება ხელის მოწერა გაზეთებზე და გაზეთებში დასაბეჭდი სხვადასხვა განცხადებები, რომელიც დაუყოვნებლივ იქნება ასრულებული. ვინც ჩემგან თვიურათ გაზეთს გამოიწერს, იმას გაზეთი ჩვენი ხარჯით თავის სახლში მიუვა საჭიროა გამოწერა—შეწყვეტის დროს ერთი კვირით ადრე განცხადება.

შკაფი ღია გვექნება მთელი დღის განმავლობაში.

(10—7) გამგე გიორგი მახარაძე.

## საჭიროა

ჟურნალ-გაზეთებისათვის აგენტი **დ. ლანჩხუთში**. პირობების გაგება შეიძლება თფილისში, ბორჟომის ქ. № 5, რუკოვიჩთან და აგრეთვე დ. სამტრედიაში ვოგზალზედ წიგნის შკაფში **ყარამან კოპალეიშვილთან**.

## ავტომობილები

ვისაც სურს შვეიცარიის საუკეთესო ავტომობილის ფაბრიკებიდან შეიძინოს ავტომობილი, **ლანდო, კარეტა, კალიასკა**, ღია თუ დახურული, ოჯახისთვის თუ საბირჟოთ.

ეტლი 5 ან 12 ადგილიანი და სხვა და სხვა

მოგვმართოთ შემდეგი ადრესით: „Herrn Bendianidse, Automobilfabrik «AJax» A. G. Hirschengraben, 80 «Zürich».

რადგან ამ ცნობილ ფაბრიკაში ვმუშაობ, შემიძლია მსურველს ფაბრიკის ნაკლებ ფასში ვაყიდვინო.

დამატებითი ცნობები «მომავალის» რედაქციაში. ბენდიანიძე. (0—18)

## ქ. ზორში

გაზეთ «**მომავალ**»-ზე ხელის მოწერა და „**მომავალ**“-ში დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რკინის გზის შკაფის გამგე **ლევან ბუაძესთან**. აქვე იშოვება ყველა ადგილობრივი და სატახტო ჟურნალ-გაზეთები.

რკ. გზ. შკაფის გამგე **ლევან ბუაძე**. (10—1)

## საჭიროა

არის ჟურნალ-გაზეთების გამყიდველი **დ. სამტრედიაში**. პირობების გაგება შეიძლება საღ. წიგნის შკაფში. (5—2)


## პრესა

გადაშენების გზაზე დამდგარი ჩვენი თავად-აზნაურობა, მიჩვეული უსაქმურობას და მზა-მზარეულზე განცხრომას, ამ ბოლო დროს ენერგიულათ შეუდგა თავის მამულების გაყიდვას. ჰყიდიან მათზე, ვინც, რასაკვირველია, მეტს აძლევს. ეს ფაქტი მართლაც საყურადღებოა და მის აწონ-დაწონას შეუდგა ჩვენი ინტელიგენციის ნაწილი. ამ კითხვას ეხება სხვათა შორის გაზეთ „ფონში ბ. ივ. გომართელიც. ის აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მოძრაობის დროს გლეხებს ეუბნებოდენ—მიწები უფასოთ დაგრჩებათ და ნუ იყიდითო. ეხლა კი, როცა ასეთი რჩევა არ გამართლდა, გვრცხვენია რჩევა მივსცეთ გლეხებს—მიწები თავის ფულით იყიდონო და ამ შეცდომის გასასწორებლათ საჭიროთ სცნობს, ახლა მაინც ვიყვიროთ ეს დიდ შარაზე, რომ მით „ცოდვები მოვინანიოთო“.

ბ. გომართლის წერილებს, როცა დასრულდება, ჩვენ დაწვრილებით გავარჩევთ. ახლა ვიტყვით მხოლოდ გაკვრით „ცოდვების მონანიებაზე“. ცოდვების მონანიებაზე ღაღადი ფრიად დამახასიათებელია დღევანდელი მომენტის. „გიჟ ოცნება“ დამხვეველი ცხოვრების ტალღებში უკომპასო გემზე დარჩენილი ინტელიგენციის ნაწილი, გზა-კვალ აბნეული აქეთ-იქით ეხეთქება—ზოგი მონანიებაზე ღაღადებს, ზოგი კიდევ ხიდების ჩატეხა აღებაზე მოსთქვამს და ჯგუფთა თუ კლასთა შორის ხიდების გადებას უდგება და მით თავის „შეცდომის“ გასწორებას ლამობს... მარა დავაცადოთ შენდობის აღსარება მონანიების გზაზე დამდგართ და ამ ხელათ გავარჩიოთ ბ. აბისელის წერილი.

ბ. აბისელი ეხება მიწების გაყიდვას „ზაკავკაზიეში“ და სხვათა შორის სწერს:

მემამულეები ყიდიან მიწებს იმიტომ, რომ იძულებული (კურსივი მისია) არიან გაჰყიდონ. ამ მიწებს ყიდულობენ ჩალის ფასათ ეგვლა, იმათ გარდა, ვინც მართლა უნდა იყიდოს. ხშირათ გლეხები არ ყიდულობენ მემამულეებიდან მიწებს მეტად შეღავათიან პირობებშიაც კი.

თურმე ნუ იტყვით, მემამულეები მეტათ „შეღავათიან პირობებით“ უთმობენ გლეხებს მიწებს, მარა გლეხები ისე გაჯიუტებული არიან, რომ მაინც არ ყიდულობენ. რატომ ასე ჯიუტობენ გლეხები?

ამბობენ, რომ ეს სამწუხარო ნაყოფი შედეგია უაზრო პროპაგანდის და ეს რამდენიმეთ მართალიც არის.—სწერს ის.

მარა ერთი ვიკითხოთ, რით აიხსნება ის, რომ ხალხი დღემდისაც თურმე ამ „უაზრო პროპაგანდითაა“ გატაცებული. უაზრობას შეუძლია გაიტაცოს ერთი, ორი, სამი, ოთხი, მარა მთელი ხალხი რომ „უაზრო პროპაგანდამ“ გაიტაცოს და ისიც მთელი წლების განმავლობაში—ამის მტკიცება მხოლოდ მათ შეუშეუძლიათ, ვინც თვითონ ვერ არის კარგ განწყობილებაში საღ აზროვნებასთან. თუ კი ხალხის გატაცება შეიძლება „უაზრო პროპაგანდით“, რატომ ვერ შესძელით, რომ ეს ხალხი გაგეტაცათ თქვენი „აზრიანი პროპაგანდით“?! ეს რომ „უაზრო“ საბუთია, ამას თვით ბ. აბისელიც გრძნობს და ამიტომაც ამბობს—ეს რამდენიმეთ არის მართალი (რატომ სულ არა? მპ.) და ეძებს უფრო „ღრმა მიზეზებს“. ეს „ღრმა მიზეზი“ კი, მისი აზრით, გლეხის ფსიხოლოგიაში იმალება.

ასეთი მოვლენის სერიოზული და რთული მიზეზები—სწერს ის—იმალება თვითონ გლეხის ფსიხოლოგიაში, რომელიც არ არის დაჩვეული და ეშინია მეტად დიდი მეურნეობის. ის არ არის მომზადებული დიდი მემკვიდრეობისათვის ახლა კი, და ეკონომიური ჩამორჩენის წყალობით ის არ წარმოადგენს მამოძრავებელ ნაციონალურ ძალას.

ბ. აბისელს და ყველა იმათ, ვინც ასეთი მდუღარე ცრემლებით მოსთქვამენ ჩვენი თავად-აზნაურობის მიწების უცხოელების ხელში გადასვლაზე, ავიწყდებათ ერთი გარემოება. მათი აზრით, გლეხები, რომლებიც ამდენ საუკუნეთა განმავლობაში ტანჯვა-ვაების მორევში სცურავენ და ცულიანი და უცულო ყველა მათ ეხვევა, შემძლებლობის დაუშრეტელი წყაროა და საიდანაც შემოკრავ, იქიდან „გადმოყაჭავს“ ბაჯაღლო ოქროებს. და ეს მაშინ, როცა ჩვენი გლეხ-კაცობა დღეს იმდენათ გაღატაკებულია, თუ გინდა ძალიანაც მოინდომონ მიწების ყიდვა, მაინც ვერ შესძლებენ, რადგან ამისთვის არავითარი სახსარი არ მოეპოებათ. ესენი კი, ამ უმთავრეს მიზეზს გვერდს უვლიან და ზოგი გლეხის ფსიხოლოგიაში ეძებს მიზეზს, ზოგი კიდევ მორცხვობში. მარა თუ ბ. აბისელს დავუჯერებთ, გლეხები მაშინაც კი არ ყიდულობენ მიწებს, როცა პირობები მეტათ შეღავათიანი იყო. სად აძლევდენ ასე ჩალის ფასათ გლეხებს მიწებს და ისინი მაინც არ ყიდულობდენ, ჩვენ არ ვიცით, წინააღმდეგი კი ბევრი. მოიგონეთ საგელოვანო მიწების გაყიდვა ლეჩხუმში და სხვა, მარა ის ფაქტი, რომ გლეხები მიწებს არ ყიდულობდენ თუ გინდ იაფათაც მისცენ, არ უნდა იყოს მაინც და მაინც დიდათ სამწუხარო მოვლენა ბ. აბისელისათვის. თუ მას დავუჯერებთ „გლეხები არ არიან დაჩვეული და ეშინიანთ კიდეც დიდი მეურნეობის“. თუ ასეა, თუ გლეხები მაინც ვერ მოიხმარენ მიწებს, რადგან „ეშინიათ დიდი მეურნეობის“ მაშ, რაღას წუწუნებთ ბატონებო და გლეხები გამოგყავთ მიწების სხვის ხელში გადასვლის მიზეზათ! ეს გლეხები ხომ თქვენი აზრით მაინც ვერ მოიხმარენ მიწებს, თუ გინდ უფასოთაც მისცეთ!

საკვირველია, თავად-აზნაურობა ჰყიდის მიწებს იმათზე, ვინც მეტს აძლევს; ამ რიგათ, მიწები უცხოელების ხელში გადადის და თუ ამით ერს რაიმე ვნება ადგება—ეს თურმე გლეხების ბრალი ყოფილა.

თავად-აზნაურებს ოქროთი სავსე ქისა, უცხოელებს მიწები, გლეხებს კი „სამშობლოს მოღალატეობა“. აი ლოლიკა ბ. აბისელის და მისი ამყოლ-დამყოლების.

გლეხი არ არის ნაციონალური ძალის მამოძრავებელი ძალაო—გვიმტკიცებს ბ. აბასელი. მაშ ვინ არის?

თავად-აზნაურობა—გვიპასუხებს ის. და ვინც ამ თავად-აზნაურობის შესუსტებას და შემუსვრას ცდილობს, მას ამ გვარი პოლიტიკით ზარალის მეტი არა მოაქვს რა არც მთელი ერისათვის და არც გლეხ-კაცობისათვისო.

მაშ ასე, თავად-აზნაურობის წინააღმდეგ ხმის ამოღება—ეს ერის წინააღმდეგ მოქმედებაა, ეს გლეხ-კაცობის წინააღმდეგ მოქმედებაა. მოიდრიკეთ მუხლი თავად-აზნაურობის წინაშე თუ არ გინდათ, რომ ერის მოღალატეთა რიცხვში ჩაეწეროთ! ბ. აბისელს ჰგონია, რომ ასეთი საკენკით ვინმე წამოეგება ანკესზე! ნეტარ არიან მართლ-მორწმუნენი!

# სახელმწიფო დუმა

(სააგენტოს დეპეშებიდან.)

**სხდომა მეოცდაორე**

25 ნოემბერი

25 ნოემბრის სხდომაზე სახელმწიფო დუმამ საჩქაროთ სცნო და მიიღო ოთხი წვრილი კანონ-პროექტი. შემდეგ ბეზაკმა მოახსენა დუმას დუმის 96 წევრის მიერ შეტანილი საკანონმდებლო წინადადება—დაენიშნოს პენსია დაჭრილ და დასახიჩრებულ ჯარის-კაცთ. ის წინადადებას იძლევა ამის სისრულეში მოსაყვანათ დაეკისროს გადასახადი იმ პირთ, რომელნიც ნამდვილ სამხედრო სამსახურში არ იქნებიან გაწვეულნი. შინაგან საქმეთა მინისტრი დიდ მნიშვნელობას აძლევს ამ საკანონმდებლო წინადადებას და ამბობს, რომ მთავრობა უკვე შეუდგა საჭირო კანონ-პროექტის შემუშავებას და ახლო მომავალში წარუდგენს დუმას. რაც შეეხება სამხედრო გადასახადს, ამის შესახებ კანონ-პროექტს უკვე იმუშავებს სამხედრო სამინისტრო. პეტროვი მეორე აცხადებს, რომ მთავრობას ამის შესახებ მაშინ უნდა აღეძრა საკითხი, როცა შორეულ-აღმოსავლეთის ავანტიურა დაიწყო. შრომის ჯგუფი საკანონმდებლო წინადადების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ უარყოფს მორიგ საქმეზე გადასვლის ფორმულას, რადგან მასში ხედავს ახალ გადასახადებს. იურკევიჩი საკანონმდებლო წინადადების მომხრეა, მხოლოდ წინააღმდეგია დაეკისროს გადასახადი იმ პირთ, რომლებიც ჯარში არ იქნებიან გაწვეულნი. კუტლერიც კადეტების სახელით აცხადებს, რომ წინააღმდეგია განსაკუთრებულ გადასახადის დაწესების. წინააღმდეგი არიან აგრეთვე ნიკიტიუკი, უდოვიტკი და კროპოტოვი. გუჩკოვი ამბობს, რომ ყველამ ერთ ნაირათ უნდა სწიოს სამხედრო ბეგარა. ვინც ჯარში არ მიდის, ფულათ უნდა გადაიხადოს. ის თხოულობს მიიღოს დუმამ მათი წინადადება. ტიმოშკინი ჩვეულებრივ ეხება ს.-დ. დაამბობს: თუ კი დუმა დაადგა იმ გზის, რომ უზრუნველ ყოს მუშები და ს.-დემოკრატები, მით უმეტეს უნდა იზრუნოს სამშობლოს დამცველ ჯარის კაცებისთვისო. ანდრეიჩუკი ეთანხმება გლეხ ორატორებს. დასასრულ ლაპარაკობს მომხსენებელი ბეზაკი. კამათი წყდება. კუზნეცოვი აცხადებს, რომ ს.-დემოკრატები ფორმულის წინააღმდეგ მისცემენ ხმას, რადგან ის იუდოფობურია და გადასახადს ებრაელებს და პროლეტარიატს დააკისრებს. კრუპენსკი აცხადებს, რომ ნაციონალური ჯგუფი სავსებით მხარს უჭერს კანონ-პროექტს. კენჭის ყრით საკანონმდებლო წინადადებას ღებულობენ. ღებულობენ ფორმულასაც, კადეტების, ტრუდოვიკების და ს.-დემოკრატების წინააღმდეგ. სხდომა სწყდება. სხდომის განახლებისას მესამე ხელ აირჩევენ მიწების მოწესრიგების კანონ-პროექტს. პირველ და მეორე მუხლს ღებულობენ კომისიის რედაქციით, მესამე მუხლის შესწორებით. შემდეგ ლიუცი კითხულობს მოხსენებას იუსტიციის მინისტრისადმი შეკითხვის შესახებ სატუსაღოს მთავარ გამგეობის ცირკულიარულ მოწერილობის რომლითაც ეკრძალებათ ტუსაღებთან შესვლა იმ დამცველებს, რომლებსაც შეამჩნევენ, რომ ტუსაღს რაიმე აკრძალული ნივთი გადასცა. კენჭის ყრით შეკითხვას ღებულობენ. ლაპარაკობს იუსტიციის მინისტრი. ის თავის სიტყვაში სავსებით ამართლებს სატუსაღოს ადმინისტრაციის მოქმედებას. ამის დასამტკიცებლათ მოყავს ის, რომ ყველა ოჯახის პატრონს უფლება აქვს, გარეთ გააგდოს და მერე ნებაც არ მისცეს იქ შესვლის, თუ ის მის სახლში წესიერებას დაარღვევს. ასე ხდება სატუსაღოებშიც: როცა რომელიმე დამცველი არღვევს წესიერებას, სატუსაღოს უფროსის უფლებაა არ შეუშვას იქ ის. მინისტრს მოყავს მაგალითი, როცა 1905 წელს არეულობის დროს დამცველები გაიფიცენ და სენატში მივიდნენ, საკმაო იყო აწ განსვენებულ სენატორს დაეყვირა „გარეთ“!, რომ ეს დევ-გმირები უკუქცეულიყვნენ. არ შეიძლება—ამბობს ქვევით მინისტრი—სატუსაღოში შესვლის დროს დამცველმა თავი პატრონათ იგრძნოს, ეს რომ ასე იქნას, მას შეუძლია იქ შეიტანოს ყველაფერი—ყუმბარები და სხვა. შემდეგ მას მოყავს მაგალითები, როგორ არღვევდნენ დამცველები სატუსაღოს დისციპლინას და ტუსაღებთან წერილები და სხვა ნივთები შექონდათ. ამიტომ, მისი აზრით, მთავარ სატუსაღოს სამმართველოს ცირკულიარი სრულიად კანონიერია.

დუმა ერთხმათ ადგენს დაუყონებლივ შეუდგეს მინისტრის განმარტებას განხილვას. მომხსენებელი **ლიუცი** ამბობს, რომ შეკითხვების კომისია მსჯელობის დროს შეეხო არა დამცველთა ეთიკას და სატუსაღოების უმთავრესი გამგეობის მიერ მიღებული ზომების უვარგისობას არამედ—სისხლის სასამართლოს დებულების 569 მუხლს და აღნიშნა, რომ სატუსაღოთა უმთავრეს გამგეობის ცირკულიარი დასახელებულ სტატიას ეწინააღმდეგება; ამიტომ კომისია ისევ თავის შეხედულობაზე დგას და აცხადებს, რომ მინისტრმა თავის განმარტებაში 569 მუხლის დარღვევის შესახებ პასუხი არ გაგვცა. (ტაში მარცხნით).

**სოკოლოვი 2** გაკვირვებულია, რა დამოკიდებულება აქვს ყველა იმას, რაც მინისტრმა ილაპარაკა მისდამი მიმართულ შეკითხვასთან. აქ არის 569 მუხ., რომელიც ტუსაღს წმინდა, წაურთმეველ უფლებას ანიჭებს განკერძოებით მოელაპარაკოს დამცველს, არც მემარცხენეთ და არც ცენტრს აზრათ არ მოსვლიათ დამცველისათვის ციხის ბატონპატრონის მოვალეობა დაეკისრებიათ. მინისტრს თუ განზრახვა აქვს მომავალშიაც დაარღვიოს აღნიშნული მუხლი, იმ შემთხვევაში საჭიროა ახლავე შესწორება შეიტანოს არსებულ კანონში. რა სთქვა არსებითათ მინისტრმა? მან განაცხადა, რომ, როგორი ფორმულაც არ უნდა მიიღოს დუმამ, ის (მინისტრი) კანონებს არღვევს და მომავალშიაც დაარღვევს (ოპოზიცია ტაშს უკრავს). თითონ მინისტრის დღევანდელი განმარტებაც უკანონოთ უნდა იქნას ცნობილი (მარჯვნით ხმაურობა).

**პურიშკევიჩი** მოვალეთ სთვლის თავს მადლობა გამოუცხადოს იუსტიციის მინისტრს საუცხოვო, პატრიოტული სიტყვისათვის, რომელსაც, რასაკვირველია, საქმეც მოყვება (მარცხნით ხმაურობა) არავის აზრათ არ მოუვიდოდა ტუსაღისათვის დამცველთან მოლაპარაკება აეკრძალა, რომ მას სიმართლის გამოკვლევის მიზანი ქონოდა. შეკითხვის ნამდვილი მიზეზი ის კი არ არის, რომ ადვოკატურა ებრაელებით არის ავსილი, არამედ ის, რომ ნაფიც ვექილთა საბჭოები კერძო პირთა ბოროტ-მოქმედებას ხელს აფარებენ (ხმაურობა მარცხნით). მემარჯვენეთა ფრაქცია მინისტრს სთხოვს მთელი ენერგია გამოიჩინოს, რომ თანამედროვე გარყვნილ ებრაელ მოლაყბეთა ინსტიტუტს ლაგამი ამოსდოს (მარჯვენით ტაში, მარცხნით ხმაურობა) ჩვენ მინისტრს ვსთხოვთ, რომ დამნაშავეს, დაჭერილს და ციხეში მჯდომს, სანამ ის გამართლებული არ იქნება, სანამ მის უდანაშაულობაში არ დარწმუნდებიან, სრულიათ მოესპოთ გარეშე პირებთან კავშირი ვექილების საშუალებით, რომელნიც შემაერთებელი რგოლის მოვალეობას ასრულებენ ციხესა და რევოლიუციონურ პარტიებს შორის, რომელნიც რუსეთის დასამხობათ მოქმედებენ (ხმაურობა).

**ბულატი** აცხადებს, რომ პურიშკევიჩის პასუხის მიცემა საჭირო არაა. მისგან იუსტიციის მინისტრის დაცვა ბუნებრივი იყო, ეს შედეგია პურიშკევიჩის სასჯელისაგან განთავისუფლებისა, რომელიც მას ქალის შეურაცხყოფისთვის ქონდა გადაწყვეტილი (ხმაურობა). პურიშკევიჩს მხოლოდ ერთი რამ შემიძლია ვუთხრა: მიეცი სულელს ღმერთზე ლოცვის ნება, ის შუბლს გაიხეთქავს (ძლიერი ხმაურობა) მინისტრსაც და პურიშკევიჩსაც. შეკითხვა სრულებით დაავიწყდათ და სულ სხვა საგანზე ლაპარაკობდენ. როდესაც ისეთი პირები, რომელთაც თავი მოსწონთ მეფის ერთგულობით, ანეკდოტების მოყოლას დაიწყებენ, ყველასათვის აშკარაა, რომ ამ პირებისთვის დრო ვადგა, თავიანთი ადგილები უფრო ღირსეულ დეპუტატებს დაუთმონ.

**კარაულოვი** ამბობს: მე გაკვირვებული ვარ იუსტიციის მინისტრის სიტყვით, რომელიც სოციალ-დემოკრატების შეხედულებაზე დადგა და მათთან ერთათ აცხადებს, რომ დუმამ რაც არ უნდა სთქვას, მთავრობა მის სურვილს ანგარიშს არ გაუწევსო. არ შევეხები მინისტრის კანონ-პროექტის კომიკურ შინაარს, ვიტყვი მხოლოდ, რომ ტყუილია კანონების წერა, თუ კი მას არ შეასრულებენ.

**მარკოვი** მე-2 შეკითხვაში ხედავს წყნარ ნაბიჯს, რომლითაც რევოლიუცია მოიპარება. სიხარულით აღნიშნავს მინისტრის პატრიოტულ სიტყვას, რომლის მსგავსი რუსეთის ხალხს ჯერ არ სმენია. 30 წლის წინათ მწერალმა ევგენი მარკოვმა ვექილებს სიტყვის მეძავეები (прелюбодѣй) უწოდა. მხოლოდ მაშინ ვექილები ნორჩები იყვნენ. კაცი, რომელიც გარყვნილებით იწყებს ცხოვრებას, ბოროტ-მოქმედებით დაასრულებს მას. ასე დაემართა ვექილებს. ნაფიც ვექილთა ინსტიტუტი ჩვენს დროში დაქირავებულ დამნაშავეთა ორგანიზაციას წარმოადგენს, ამიტომ ვექილების ციხეებში შეშვება შეუძლებელია. მე ვამბობ: კი, ჩვენი ვექილების უმრავლესობა შეუშვით ციხეში, მხოლოდ იქიდან აღარ გამოუშვათ. (სიცილი, ხმაურობა).

**პურიშკევიჩი** პირადული შენიშვნის გამო აცხადებს: ბულატს მე პასუხს არ ვაძლევ, რადგან, საუბედუროთ, აქედან ბულატამდე გადაფურთხება—არ შემიძლია (ხმაურობა).

**თავმჯდომარე:** დუმის წევრო პურიშკევიჩო! რაც უნდა აღელვებული იყოთ, არასოდეს არ უნდა დაივიწყოთ ზრდილობის ელემენტარული წესი. გადაფურთხება საზოგადოთ, და მით უმეტეს დუმაში, არ შეიძლება. 11 ს. და 8 წ. სხდომა იხურება. შემდეგი სხდომა 27 ნოემბერს შესდგება.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 ნოემბერი.

**რუსეთი.**

**ხარკოვი.** მარკშეიდერსკის სიეზდმა დაადგინა, რომ ნაფიც მარკშეიდერი უმაღლეს სწავლა-მიღებული პირები უნდა იქნენ.

**პეტერბურგი.** გასწორება. ბაქოს და თფილისის გაზეთებში დაბეჭდილი სააგენტოს დეპეშა ბათუმიდან 19 ნოემბრის თარიღით საერობო თათბირის შესახებ დამახინჯებულია... ტელეგრაფის სააგენტო იუწყებოდა: „ბათუმი. მუსულმანების წარმომადგენლებმა საოლქო სათათბიროში, ოლქში ერობის შემოღების წინააღმდეგ გამოსთქვეს აზრი. დანარჩენ წევრთა უმეტესობამ მიიღო ერთი საოლქო ერობა. უმცირესობა იცავდა ორსართულიან ერობას საუბნო წვრილი ერთეულით.

**სმოლენსკი.** საზოგადო კრებამ დაადგინა გოგოლის დაბადების 100 წლის სახსოვრად გადაიხადოს ყოველ წელს ათი უღარიბესი მოწაფისთვის სწავლის ფული გოგოლის სახელობაზე აგებულ სკოლაში და ორი მოწაფისაც გიმნაზიაში და რეალურ სასწავლებლებში.

**კალუგა.** დიდებულათ გაიხსნა ქალთა სამასწავლებლო სემინარია.

**განჯა.** ყველა მაზრების წარმომადგენლების მონაწილეობით და გუბერნატორის თავმჯდომარეობით გაიხსნა განჯის გუბერნიაში ერობის შემოღების შესახებ თათბირი. თათბირის მონაწილეთა უმრავლესობამ საგუბერნიო და სამაზრო ერობისათვის მიიღო 1890 წ. საერობო დებულება. უმცირესობა მოითხოვდა საუბნო ერობის შემოღებას, რომლის თანახმათ გუბერნია იყოფოდა 16 უბნათ. თათბირმა სურვილი გამოსთქვა, რომ კავკასიის მთავრობამ ნება დართოს მოხდეს პერიოდული სიეზდები საგუბერნიო ერობ-

---

## სახელმწიფო დუმა.

**შეკითხვა პროფესიონალური კავშირების დევნის შესახებ.**

(სტენოგრაფიული ანგარიშიდან.)

**დეპ. ჩხეიძე.** „ბატონებო! როცა ჩვენ ეს შეკითხვა შემოგვქონდა სახელმწიფო დუმაში, სრული დარწმუნებული ვიყავით, რომ ამის საბუთები გვქონდა (ხმა მარჯვნიდან: როგორ არა!) ეხლა უფრო მეტათ დავრწმუნდით ამაში, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის სიტყვის შემდეგ. მან სწორე პასუხი მოგვცა იმ კითხვაზე, რომელიც ჩვენთვის არსებითი კითხვაა. მინისტრის ამხანაგმა სთქვა (ხმა მარჯვნიდან: რა სთქვა?) ეხლავე მოგახსენებთ რაც სთქვა. (ხმები მარჯვნიდან: კმარა, მარკოვი 2 ადგილიდან: ნუ სწუხდებით, გვჯერა თქვენი სიტყვები) მე კარგათ ვიცი, ამბობდა, ის, რომ ეს შეკითხვა იმისთვის კი არ წამოაყენეს, რომ მოისმინონ ჩემი განმარტება. შეკითხვა იმიტომ შემოიტანეს, რომ პასუხი გავსცეთ რა დამოკიდებულება გვაქვს ჩვენ პროფესიონალურ კავშირებთან. ეს სრული სიმართლეა, ჩვენთვის საინტერესო იყო გაგვეგო რა ზომების მიღებას აპირებს მთავრობა პროფესიონალური კავშირების შესახებ, როდესაც არა ერთხელ სთქვა, რომ რუსეთში სრული სიწყნარე დამყარდაო. რასაკვირველია ჩვენთვის, საინტერესოა მთავრობის განმარტება იმდენათ, რამდენათაც ის ამტკიცებს, რომ მთავრობა მართალი არ არის, რომ ის ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, ფორმალური მხრითაც კი. მაგრამ, თქვენც დამეთანხმებით, რომ ჩვენ არ ძალგვიძს გავყვეთ მთავრობას ფორმალურ თვალთა ხედვის ისრის ახსნა-განმარტებაში არა თუ ბ.ბ. მინისტრები, არამედ კრილოვის იგავ-არაკის მგელიც კი ცდილობდა დაემტკიცებია, რომ ის შესჭამს ხბოს კანონის ძალით და მხოლოდ ხბოს გულუბრყვილობას უნდა მიეწეროს ის, რომ ის შეედავა მგელს მისი მოქმედების უსამართლობაში. მე ვფიქრობ—მგლების დუმა რომ ყოფილიყო, და კრილოვის მგლის მოქმედების შესახებ შეკითხვა შემოეტანათ, ასეთი დუმა თავის დღეში არ მიიღებდა შეკითხვას იმის შესახებ თუ რა გადახდა ხბოს. (ხმა მარჯვნიდან: ეს მელიის კუდისთვის შური იძია) მინისტრის ამხანაგმა გვამცნო ამ ტრიბუნიდან, რომ ჩვენ ვცხოვრობთ გამომჟღავნების დროში. სრული სიმართლეა. აგერ რამდენი წელიწადია მთავრობას ნიღაბი ეხდება, მაგრამ ჯერ კიდევ სავსებით არ გამოჩენილა მისი ნამდვილი სახე. ჩვენი შეკითხვის მიზანი იყო გაგვეტიტვლებია ეს ვეშაპი და ვფიქრობთ რამდენათმე კიდეც მივაღწიეთ მიზანს. 4 მარტის წესების განმარტებითი წერილში ჩვენ ვკითხულობთ: „წარმოების თანამედროვე პირობების წყალობით, მწარმოებლებსა და მუშებს შორის ბრძოლა აუცილებელია“. როგორც ხედავთ, მთავრობა თითონ აღიარებს, რომ დღევანდელ საზოგადოებაში პირისპირ დგანან ერთი მხრით მწარმოებელნი და მეორე მხრით მუშები, რომ მათ შორის მუდმივი ბრძოლაა, რომ მას იმის წინააღმდეგ არაფერი არ აქვს მუშებმა იბრძოლონ, მხოლოდ ამ ბრძოლაში არაფერი არ იყოს პოლიტიკური. ეს იმას ემგვანებოდა, თქვენთვის რომ ვინმეს ეთქვა ცურვას გასწავლიო და თქვენ გეპასუხნათ: „დიდის სიამოვნებით, მხოლოდ ერთის პირობით: წყალს არ გაეკაროთ ახლოს“, ან თქვენ რომ გეთქვათ, რომ გინდათ ცხოვრება და თქვენთვის ეპასუხნათ: „იცხოვრეთ, განავითარეთ თქვენი ორგანიზმი, მხოლოდ უჰაერო სივრცეში ისუნთქეთო“. ასეთ პირობას აყენებს მთავრობაც. ის აღიარებს, რომ თანამედროვე საზოგადოებაში არსებობს გამწვავებული კლასთა ბრძოლა, მას კარგათ ესმის, რომ მუშები ყოველ დღე ხვდებიან ამა თუ იმ პოლიტიკურ კითხვას. თქვენ კარგათ იცით, ბატონებო, რომ მთელ ქვეყანაზე არსად ისე ღარიბი არ არის პოლიტიკური ცხოვრება, როგორც რუსეთში და მიუხედავათ ამისა, თითქმის თითოეული ნაბიჯი რუსეთის quasi-მოქალაქის პოლიტიკურ აქტის სახეს ღებულობს. კარგათ იცით, რომ ჩვენში ხშირათ ერეკებიან ქორწილში საქეიფოთ თავმოყრილ ხალხს. და ეს იმიტომ, რომ ამა თუ იმ ადმინისტრაციის აზრით ასეთი თავყრილობა საზოგადოებათა და კავშირების წესების წინააღმდეგია. (ტიმოშკინი ადგილიდან: აღნიშნეთ თუნდაც ერთი მაგალითი) მაგალითები რამდენიც გინდათ. მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ რუსეთში თავისუფალი ეკონომიური ბრძოლა, თუ არ პოლიტიკურ ბრძოლასთან ერთათ, შეუძლებელია, მაგრამ მთავრობას მაგისი თქმა კი არ უნდა, მას უნდა სთქვას, რომ მუშებში მხოლოდ მისი პოლიტიკა უნდა იყოს გაბატონებული. ჩვენ ვიცით, რომ საქმით მთავრობა ახორციელებს თავის პოლიტიკას მუშებში, მაგრამ ყველამ იცის, რომ აქ მან პირი დაიწვა: მოიგონეთ ზუბატოვშჩინა და მთავრობის სხვა ამგვარი საქმეები. მას ჯერაც არ დაუკარგავს იმედი, რომ ფეხს მოიკიდებს მუშათა მასსაში. შეიძლება ასეთი ცდის მოწმეები ჩვენ გავხდეთ, მაგრამ, ბატონებო, თუ მთავრობამ 9 ნოემბრის კანონი გამოიგონა და მით შეეცადა მაგარი „მუჟიკების“ შექმნას, ყოველ შემთხვევაში, ასეთ კანონს პროლეტარიატისთვის მთავრობა ვერას დროს ვერ მოიგონებს და „მაგარ პროლეტარს“ ვერასოდეს ვერ შექმნის. მაგრამ, ბატონებო, სიყალბე ამით არ თავდება. მთავრობა ეუბნება მუშებს: „იბრძოლეთ თქვენი ეკონომიური მდგომარეობისთვის, გაიუმჯობესეთ ის“, მაგრამ დღესავით ნათელია, რომ მთავრობა პროლეტარიატის ეკონომიურ ბრძოლის წინააღმდეგია, იცის რა, რომ პროფესიონალურ კავშირების წყალობით მუშა არსებითათ იუმჯობესებს თავის ეკონომიურ მდგომარეობას, ის ორგანიულათ ვერ ურიგდება ამ ორგანიზაციას. ჩვენი მთავრობა ვერავითარ საზოგადოებრივ ძალთა ორგანიზაციას ვერ ურიგდება. რატომ? ეხლავე გეტყვით. (ხმა მარჯვნიდან—რატომ „ეგრეთ წოდებული?) მე მას ვეძახი „ეგრეთ წოდებულს“ იმიტომ, რომ ის ჩემი მთავრობა არ არის. (სიცილი. მარკოვი მეორე ადგილიდან—ვინ არის თქვენი მთავრობა? ოსმალეთის სულთანი?) დეპუტატმა შჩეპკინმა, წინათ აღნიშნა, რომ ჩვენ ს.-დემოკრატები კანონს ვიცავთ და პასუხის გებაში ვაძლევთ მთავრობას კანონის დარღვევისათვის. მან ეს სიმპტომატიურ მოვლენათ ჩასთვალა. ჩემის აზრით, ეს სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა, და აი რატომ: ს. დემოკრატები მუდამ მოწინააღმდეგე იყვნენ ყველა ჯურის ანარქისტების და თვით ის მარქსი, რომელიც ახსენა დეპუტატმა პროტოპოპოვმა, გულწრფელათ კიცხავდა ყველა ჯურის ანარქისტებს. ჩვენი მთავრობა კი ნამდვილი ანარქისტული მთავრობაა. აქ ყველა ისე მოქმედობს, როგორც მას სურს. დუმბაძე და ტოლმაჩევი იმ ანარქიზმის განხორციელებაა, რომელიც ჩვენს მთავრობაშია გამეფებული (მარცხნით ტაშის ცემა). ადვილი გასაგებია, ბატონებო, რომ მას ცეცხლზე უფრო ეშინია მუშათა კლასის ორგანიზაციის, რადგან ამ შეერთებით მუშათა კლასს შეუძლია თავისი ეკონომიურ პირობების გაუმჯობესება და ყველა ის, რაც მუშათა მდგომარეობას აუმჯობესებს, მთავრობის მდგომარეობას აუარესებს. ამიტომ, როცა მთავრობა ამბობს პროფესიონალურ კავშირებს იმიტომ ვსდევნი, რომ იქ პოლიტიკა არისო, ეს სიცრუეა. ამ გვარათ, ბატონებო, ჩვენს კითხვაზე—თუ რას ფიქრობს მთავრობა პროფესიონალურ კავშირების შესახებ, ჩვენ შემდეგი პასუხი მივიღეთ: მთავრობა არას დროს არ მისცემს ნებას მუშებს შეადგინონ რაიმე ორგანიზაცია. ასეთია მთავრობის პასუხი. (შულგინი მეორე ადგილიდან—ეს ხომ თქვენი მთავრობა არ არის) დეე ის თქვენი იყოს—მე არ ვეჭვიანობ თქვენზე. მას შემდეგ, რაც მთავრობამ სრულიად უარჰყო მუშებში რაიმე ორგანიზაციების არსებობა, საინტერესოა მოგვესმინა მწარმოებელთა წარმომადგენლების აზრი ამის შესახებ (მარკოვი 2—ადგილიდან: ამხანაგ პროტოპოპოვის) არ გახლავთ ამხანაგი. რა გვითხრა ცენტრის წარმომადგენელმა განათლებულმა ბურჟუა, დეპუტატმა პროტოპოპოვმა? (სიცილი), ჩვენ ვფიქრობთ, ამბობს ის, საჭიროა სავსებით გამოირკვეს ეს კითხვა და მთავრობის, დუმის ფრაქციების და მისი უმრავლესობის მასთან დამოკიდებულება. შემდეგ პროტოპოპოვმა აღნიშნა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში არსებობს კლასთა ბრძოლა, რომ ერთი მხრით დგანან კაპიტალისტები და მეორე მხრით მუშები და რადგან ისეთი პირობები არ არის, რომ მუშებს შეეძლოთ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესება, ეს ბრძოლა თანდათან მწვავე ხასიათს ღებულობს. ამიტომ აუცილებლათ საჭიროა ამ საქმეში სახელმწიფოს ჩარევა და მუშათა თვითმოქმედება. ამ გვარათ, ბატონებო, პროტოპოპოვმაც, მთავრობასთან ერთათ აღიარა, რომ არსებობს კლასთა ბრძოლა, აღიარა, რომ ეს ბრძოლა დღითი დღე მწვავდება და ამას ცუდი გავლენა აქვს ვაჭრობა-მრეწველობაზე, მაგრამ, როცა ის მნიშვნელოვან კითხვას მიადგა, ის სთქვა, რაც მთავრობის წარმომადგენელმა—არც მეტი და არც ნაკლები. იმის დასამტკიცებლათ, რომ მუშათა პროფესიონალურ კავშირებში ადგილი არ უნდა ქონდეს პოლიტიკას, პროტოპოპოვმა ინგლისი მოიყვანა მაგალითათ, სადაც მუშათა ორგანიზაციებმა სრულიად უარყვეს პოლიტიკა. „ასე უნდა იყოს ჩვენშიაც“ ამბობს ის. ძალიან ვწუხვარ, რომ ცენტრის ლიდერმა არ გაუზიარა პროტოპოპოვს ის შთაბეჭდილებანი, რომლებიც მან ლონდონში მოგზაურობის დროს მიიღო. ჩვენ ვიცით, ბატონებო, რომ ეს მოგზაურობა დიდებულ პოლიტიკურ მნიშვნელობის ზოგადი აქტი იყო, ვიცით ისიც, თუ როგორ დააფასეს

ბის გამგეობის წარმომადგენლების, სამხრეთ კითხვების განსახილველათ. თათბირის დასრულების შემდეგ თათბირის თხოვნით გუბერნატორმა „მადლობის დეპეშა გაუგზავნა ნამესტნიკს.

**ოდესა.** სამხედრო სასამართლომ ნაფიც გქქილთა დაუსწრებლათ დეპუტატი ბროდსკი 1416 მუხ. ძალით დამნაშავეთ იცნო სხვისი სახელით ცხოვრების გამო და 100 მანეთი ჯარიმა მიუსაჯა.

**ნიკოლაევი.** საბჭომ მიიღო ახალი გეგმა საყოველთაო სწავლის შესახებ. განზრახულია გაიხსნას 12 სკოლა ხაზინის დახმარებით, შენობისთვის 73,000 მ. მასწავლებლების ჯამაგირათ 113,887 მ.

### ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲗ

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ იმ პოლიტიკური კომპანიის, რომელიც დაიწყო ლორდთა პალატის მიერ ბიუჯეტის უარყოფის შემდეგ, მეტათ დამახასიათებელ თვისებათ (...გამოტოვებულია) საარჩევნო ოლქებში. მინისტრთა უმეტესობა პირადათ დებულობს მონაწილეობას საარჩევნო კომპანიაში და ყოველ დღე სიტყვებს ამბობენ საჯარო კრებებზე. ჩერჩილი ლანკაშაირის საგრაფოში გაემგზავრა. ეს ოლქი უმთავრეს მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცენტრათ ითვლება ინგლისში, რადგან იქ ყველა ოლქებზე უწინ ხდება არჩევნები, რომლის შედეგსაც შეუძლია გავლენა იქონიოს სხვა ოლქების საარჩევნო კომპანიაზედაც. კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ლანკაშირს ამ კომპანიაში, რადგან ის ითვლება თავისუფალ ვაჭრობის ბურჯათ. ისე, როგორც სხვა ყველა მინისტრები, ჩერჩილი ხაზს უსვამს, რომ ლორდების მიერ ბიუჯეტის უარყოფა მომენტის სერიოზული კითხვაა და აცხადებს, რომ ლიბერალები არ დარჩებიან მართვა-გამგეობის სათავეში, თუ ისინი აღჭურვილი არ იქნებიან უფლებებით გააუქმონ ლორდების „ვეტო“ საკანონმდებლო კითხვებში. კონსერვატორები ბიდან ჯერ-ჯერობით მხოლოდ რამდენიმე გამოჩენილი პირი დებულობს კომპანიაში მონაწილეობას. გასულ კვირას სიტყვა წარმოსთქვა ლენსდოუნმა. ყოფილი მინისტრებიდან მარტო ვალტერ ლონგი იღებს მონაწილეობას.

**პარიზი.** პიშონმა განაცხადა მინისტრთა საბჭოში, რომ კრიტოსის ოთხი მფარველი სახელმწიფოები შეთანხმდენ ოსმალეთის ნოტის საპასუხო ნოტაზე. ეს საპასუხო ნოტა გადაეცემა ოსმალეთის ელჩებს 27 ნოემბერს.

**კოპენჰაგენი.** მოვიდა კუკის პირადი მდივანი ლონსდელი ქაღალდებით, რომელიც ეხება კუკის მგზავრობას ჩრდილოეთის პოლიუსზე. ეს ქაღალდები გადაეცემა აქაურ უნივერსიტეტს და შეინახება ერთ-ერთ ადგილობრივ ბანკში.

**ჰამბურგი.** გამოირკვა, რომ გაზო-მოტორის აფეთქების დროს მომხდარ კატასტროფაში მოკლულია 13, მძიმეთ დაჭრილა 15 კაცი.

**ვაშინგტონი.** ხაზინის მდივანი თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის დეფიციტის დასაფარავათ მდივანი წინადადებას იძლევა გამოშვებულ იქნას პამის სრუტის ობლიგაციები, უფრო დიდი პროცენტებით, ვინემ ახლაა.

**დრეზდენი.** ადგილობრივ ოფიციალურ გაზეთებში საქსონიის და ბადენის მთავრობამ ცნობები გამოაქვეყნა გეგმაზე ახალი გადასახადების შემოღების შესახებ.

## ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘᲓᲐᲜ

9

**მეჯლისის (პარლამენტის) გახსნა.**

გათენდა ორი ნოემბერი. გათენებისას წვიმა მოსულიყო, თეირანის მტვრიანი ქუჩები მოერწყო, შეყვითლებული ფოთლები ჩაერეცხა, სადღესასწაულოთ დაემშვენებინა. ახალ ამოსულ მზის სხივზე ყოველივე კრიალებდა და სუფთა ჰაერს ფილტვები თავისუფლათ სუნთქავდა. ვინ იფიქრებდა, თუ თავრიზის გაჭირვებულ მდგომარეობის შემდეგ სპარსელები კვლავ იხილავდენ ამ დღეს და თეირანში შეიკრიბებოდენ?! ჩავჯექი ეტლში და ის გაქანდა პირდაპირ პარლამენტისაკენ ჩემდა უთქმელათ. დღეს მსურს მარტო შთაბეჭდილების მიღება და აზრ-ფიქრების შორს მყოფ მეგობრებისთვის მათი გაზიარება.

არტილერიის მოედანი ათასფერათ ელავდა აფრიალებულ დროშებითა და ბაირაღებით, რომლებიც ელვარებდენ მზის სხივებზე, ხალხი ბუზივით იროიდა, მუსიკა გრიალებდა. ფოსტის შენობა საუცხოვოთ იყო მორთული ყვავილებითა და ჰრაქებით. ქუჩებში ყოველგან სისუფთავე-სილამაზე იყო, მხიარული ხალხი პარლამენტისაკენ მიეშურებოდა. დღეს არც ქალები ჩამორჩენოდენ კაცებს და ისინიც მამაკაცებში არეულნი მიდიოდენ. მეეტლემ შეუხვია მეჯლისის ქუჩისკენ. ზილი სალთანეს სასახლის კედლები, ზარბაზნით დანგრეული, წითელი ხავერდით იყო შეფენილი და ჰრილობაშეხვეულ მებრძოლს ჰგავდა. მეჯლისის ქუჩა და მოედანი ხალხით იჭედებოდა; ბაირაღ-ხალიჩებით მორთული მიდამო დიად წამს უცდიდა; ნიავი თოკებზე გაბმულ პაწია ბაირაღებს აფრიალებდა და ისინი ჰაერში ელვარებდენ, თითქო თავისუფლებას მოაფრენენო. ხალხს მოღერებინა კისერი მაღლა და ღიმილით შესცქეროდენ. ქალებს ნახევრათ აეხადათ ჩადრი, თვალწარმტაც სანახაობით გატაცებულებს გადახდოდათ პირისახე. მათ შავ თვალწარბებს მამაკაცები ქურდულათ ჩასცქეროდენ. დღეს პირველათ ვხედავდი სპარსელ მანდილოსნებს, მოხუც დედებს, რომლებიც მოსულიყვენ თავისუფლებისათვის ბრძოლაში დახოცილ შვილების სამახარობლოთ, რომ მათი დაღვრილი სისხლი და ამაგი დიდებით იმოსება. ქალიშვილები თვალთაგან ცეცხლის ნაპერწკლებს ყრიდენ, დახოცილ საყვარელ ძმებს დაეძებდენ, მტარვალს სამაგიეროს გადახდას ემუქრებოდენ... ხანდახან იღიმებოდენ, ალერსით ივსებოდენ, ყელ-მოღერებულნი ვიღაცას ესიყვარულებოდენ. მათი სინაზე, კდემამოსილება ვარ-იას ეცილებოდა; მათი შავი თვალ წარბი მჭვრეტელს იპყრობდა, სიცოცხლისათვის საბრძოლველათ ცას და ქვეყანას იწვევდა, ჟრუანტელს გვრიდა, ატყვევებდა. სანახაობით თავდავიწყებული ქალიშვილები, როცა გონს მოდიოდენ, მსწრაფლ იფარავდენ პირისახეს, დედებს ეფარებოდენ და მით ერთი-ათად საინტერესო და მიმზიდველი ხდებოდენ. ჩვენ შევედით მეჯლისის შესასვლელ წინა ტალავერში, სადაც ნაციონალური გვარდიის წრე იყო გაკეთებული; საგანგებოთ დანიშნულ მოხელეს სადარბაზო და კორესპოდენტის ფრანგულ-ქართულათ დაწერილი მოწმობა წარვუდგინე და ღიმილით გამაცილეს— თქვენ ესენი არ გჭირიათო.

ჩვენ ავყევით საუცხოვოთ მორთულ კიბეს, რომელიც ყვავილების გზას ჰგავდა და შევედით კორესპოდენტების განყოფილებაში, სადაც ევროპიელ ადგილობრივ ინტელიგენციას უკვე მოეყარა თავი. აქ იყო ამორაჯიში და „ირან ნოს“ რედაქტორიც. მეფის მისაღები ტახტი ხავერდით იყო გადახურული, ხავერდზე სპარსეთის ღერბი—მზე და ლომი—იყო თვალ-მარგალიტებით მოქარგული, ტახტი ფირუზ-ალმასით შემკული, იაგუნდის თვლებით შეჭედილი. დარბაზში დეპუტატები რიგზე დგებოდენ ფეხზე—დარბაზში, გარდა სამეფო ტახტისა არც ერთი სკამი არ იყო.

რადგან ადრე იყო, ჩვენ ისევ ეზოში გამოვედით, სადაც „იშთმი ამუის“ (ს.დ.) წევრი ეიდარხანი, რამდენიმე ბრძოლაში გადარჩენილ ამხანაგით თადარიგს იძლეოდა, ყველა მას სიამოვნებით და პატივისცემით შესცქეროდენ, რაც ამტკიცებდა ამ პარტიის გავლენას. აქ ქართველი, მთიული ლექსო ნაციონალური გვარდიის აფიცრის ნიშნით, მაუზერ გადაკიდებული წესრიგს იცავდა, კოხტათ გადაეგრიხა შავი ულვაში და სანდომიანი სახით ვაჟკაცურათ გამოიყურებოდა. მოედნიდან ყვავილებითა და ბაირაღებით შემკული ხალხის ტრიბუნა, რომელზედაც ხალიჩა იყო გადაფარებული, ამაყათ გამოიყურებოდა და აზღვავებულ ხალხიდან ორატორებს ელოდა. შახის მიერ დანგრეული სკოლა კვლავ გადმოსცქეროდა ხალხს ამაყათ, ისიც ყვავილებით შემკული. ახლო-მახლო სახლის სახურავებზე რევოლიუციონერები დაეყენებიათ, რომ ახმედ-სულთანის მოსვლის დროს პროვოკაცია არავის მოეხდინა. სასახლიდან მეჯლისამდე მთელი თეირანის ქუჩები ჯარით იყო გაკრული, მარა ხალხი თავისუფლათ გრძნობდა თავს. მეჯლისის ეზოში პარლამენტის საკუთარი მუსიკა ნაციონალურ ჰიმნს უკრავდა. ჩვენ ავედით მაღლა და ჩვენი ალაგი დავიჭირეთ. მეორე განყოფილებიდან მოისმა ევროპიელი ქალების ნელი ლაპარაკი. დარბაზში შემოვიდენ მინისტრები და სხვა მოხელენი. სამხედრო მინისტრი სეპეხდარი გენერლის ტანისამოსშია გამოწყობილი (რუსეთის ფორმაა) და გულზე რამდენიმე ბრილიანტ-მარგალიტების დიდრონი ნიშნები აქვს, რომელიც ელვარებს. სხვა მინისტრებსა და კარის-კაცებს გრძელი მტრედის ფერი ხალათი აცვიათ კოჭებამდის და გულზე ყველას რამდენიმე თვალ-მარგალიტის ნიშნები აქვს. სარდარ-ასადი კი შავ სერთუკში უბრალოთ და სამხ. მინისტრთან ერთათ სამეფო ტახტის ახლოს სდგას. გამოჩნდენ რამდენიმე წარჩინებული პირნი და პრინც-ხანები. სარკის დარბაზის კარებიდან შემოვიდენ უცხო სახელმწიფოს დიპლომატი კონსულები სადღესასწაულო გამოწყობილნი და სამეფო ტახტის მარცხენა მხარეს გაჩერდენ ფეხზე რიგში. სამეფო ტახტის პირდაპირ ფეხზე იდგა რიგში 65 დეპუტატი. მათ მოშორებით პრინცებში მოსჩანდა მოხუცებული მოსული ვაჟკაცი, რომელზედაც ჩვენი ლოჟიდან თითით უჩვენებდენ და აღშფოთება-გაკვირვებას იწვევდა; ეს იყო ეინ-უდ-დოულე, რომელმაც თავრიზელებს სიცოცხლე გაუმწარა და ეხლა აქ მოეწვიათ სტუმრათ. ტრიბუნის უკანა კარებიდან, მაღლა—გაღებულ კარები და 25-მდე თავშიშველი მოლები შემოვიდენ, რომელთაც წინ მუშტეიდი სეიდ-აბდული მოუძღოდა. მათ ტახტის უკან მოშორებით ესტრადაზე ორთავე მხარეს მოიკეცეს ხალიჩაზე. ძირს დარბაზში შემოვიდა რამდენიმე სპატიო ვაჭრები, რომელთაც ალაგი უჩვენეს. ასეთ სტუმრების თავის მოყრამ და სოციალურმა შემადგენლობამ ბევრზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა და ამბობდენ: არც ამ მეჯლისიდან გამოვა დიდი რამეო! მარა რას იზამთ თუ კი სპარსეთის ცხოვრების განვითარება არ იძლევა მეტ ძალებსო—უმატებდენ მეორენი.

ვლასა მგელაძე.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

—

✦ **ხმ. ნ. ელიავას საქმე.** 25 ნოემბერს მოხდა საგუბერნიო სამოქალაქო საქმეთა საკრებულოს სხდომა, რომელმაც დაამტკიცა ქალაქის საბჭოს დადგენილება ნ. ელიავას ხმოსნათ დატოვების შესახებ.

✦ **ქუთაისის ქალაქის გამგეობა** სთხოვს თფილ. ქალაქის გამგეობას გაუგზავნოს მას „სახალხო სახლის“ გეგმა და შენობის ასაშენებელი „ხარჯ-აღრიცხვაც“, ამასთან სთხოვს შეატყობინოს თუ რამდენათ უჯდება ქალაქს ამ სახლის შენახვა და რამდენი დაწესებულებაა ამ სახლში მოთავსებული.

✦ **ქალაქის სამხედრო საკრებულომ** გუშინ ცნობები წარუდგინა საგუბერნიო სამხედრო საკრებულოს შესახებ 1909 ახლათ გასაწვევ ჯარის კაცთა რაოდენობისა. 1909 წ. გამოწვეული ყოფილა სულ 760 სასალდათო. ამათ შორის რუსი ყოფილა 169. ქართველი 420. ებრაელი 11. პირველ ხარისხის შეღავათი ოჯახურ მდგომარეობის გამო მიუციათ 164 კაცისათვის. მე-2 ხარისხისა 43 და მე-3-სა 14 კაცისთვის. სამსახურში მიუღიათ 188 კაცი. ამათ შორის, რუსი 48 ქართველი 140. სამსახურში მიღებულთა შორის მე-2 ხარისხის შეღავათიანი 10 მე-3 ხარისხის 5. შემოწმებულია სულ 360. უვარგისათ უცვნიათ 51, სალდათობას ემალება 105 კაცი.

---

ინგლისელმა მუშებმა და როგორ შეხვდენ ისინი სხვა მოგზაურობას. თუ ეს ასეა და თუ ერთის მხრით რუს დეპუტატების ინგლისში მისვლა პოლიტიკურათ დიდ მნიშვნელოვანი აქტი იყო და მეორე მხრით მუშა ტრედ-უნიონები ენერგიულათ შეხვდენ ამ მოვლენას, როგორ გვარწმუნებს ამის შემდეგ დეპუტატი პროტოპოპოვი, რომ ინგლისელი მუშები პოლიტიკაში არ ერევიანო? (მარცხნით ტაშისცემა) დღეს ინგლისის ქვედა პალატაში მიიღეს ბილლი, რომელიც ფრიად მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ აქტათ უნდა ჩაითვალოს და იმ ბრძოლის ხასიათი, რომელსაც ამ ბილლისთვის ეწევიან, პირდაპირ გამომდინარეობს ინგლისის მუშათა ორგანიზაციების გამოსვლით. რას ამტკიცებს ეს? ნუ თუ ეს იმას ამტკიცებს, რომ ინგლისელი მუშები პოლიტიკას გაურბიან? თუ გინდ აიღეთ შვეციის გაფიცვა. ერთი სიტყვით, რამდენი ფაქტი გინდათ მოიყვანოთ დასავლეთ ევროპის ისტორიიდან იმის დასამტკიცებლათ, რომ მუშათა პროფესიონალური ორგანიზაციები არ გაურბიან პოლიტიკას, არამედ— მჭიდროთ არიან მასთან შეკავშირებული. თუ წინათ ინგლისის ტრედ-უნიონები ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ პოლიტიკას, ეს იმის გამო, რომ ინგლისის ბურჟუაზია მეფობდა საერთაშორისო ბაზარზე და მისთვის საჭირო არ იყო გაემწვავებია ეკონომიური ბრძოლა, მაგრამ, როგორც კი მისი ბატონობა ბაზარზე შეირყა, ის მყისვე შეეჭრა ინგლისის მუშებს და დღეს ჩვენ აშკარათ ვხედავთ, როგორ თან და თან იზრდება ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი განსაზღვრული მონაწილეობა. ასე რომ, იმის მაგალითათ მოყვანა, საცაა და ოდესღაც ტრედ-უნიონები პოლიტიკაში არ ერეოდენო, ჩვენი მწარმოებლებისათვის, რასაკვირველია, ხელ საყრელია, მაგრამ ნამდვილათ ვერაფერი საბუთია და არც არასოდეს ეს ასე არ ყოფილა. ხშირათ ამბობენ, რომ რუსი მუშები უკულტურო ხალხი არისო და აგასვე იმეორებს დეპუტატი პროტოპოპოვი. ამაზე მე ვიტყვი: ჯერ, სანამ რუს მუშების უკულტურობაზე იტყოდენ რასმე, რუსეთის ბურჟუაზია თავის თავს დაუკვირდეს, რადგან არსად, მთელ ქვეყანაზე ისეთი უძლური და უკულტურო ბურჟუაზია არ არის, როგორც რუსეთის. ინგლისელ ბურჟუაზიის მაგალითათ მოყვანა სრულიად არ ამტკიცებს იმას, რის დამტკიცებაც სურთ. ინგლისის ბურჟუაზიამ თავის დროზე ბევრი რამ გააკეთა, ის იბრძოდა უფლებისითვის, უმაღლეს წერტილამდე მიიყვანა შრომის ნაყოფიერება; მან განავითარა ტეხიკა, მან, ბურჟუაზიული აზრით, კულტურა მოფინა მთელ ქვეყანას. რა გააკეთა ამ მხრით რუსეთის ბურჟუაზიამ? ის დღემდე სუბსიდიებით სცხოვრობდა და იცოდა მხოლოდ ერთი სიტყვა—„იაფი მუშა—ეს ყველაფერია“. რუსეთის ბურჟუაზია, სანამ ის თავის პოლიტიკურ არსებობის ნიშნებს გამოიჩენდა, რეაქციას გადაეხვია. მე არ ვიცი, ბატონებო, სანამ იქნება ის ასე გადახვეული, მხოლოდ ის კი ეჭვს გარეშეა, რომ ცხოვრების ლოღიკა უფრო ძლიერია, რუსეთის ბურჟუაზიის სურვილზე იმალებოდეს ხიშტების ქვეშ. დიდხანს შეგეძლებათ თუ არა ასე ცხოვრება, ეს კითხვაა, მხოლოდ ის კი ცხადია, რომ პროფესიონალურ კავშირების საკითხში, თქვენ მთავრობის გზით მიდიხართ. თქვენი დამოკიდებულება პროფესიონალურ კავშირებთან ისეთივეა, როგორიც მთავრობის იროდული დამოკიდებულება, მთავრობა ილაშქრებს პროფესიონალურ კავშირებზე, ისე, როგორც იროდმა გაილაშქრა ბეთლემის ყრმებზე (სიცილი. შეძახილი 2 ადგილიდან: ძუძუ მიეცით პირში. მარცხნით ტაშის ცემა. თავმჯდომარე ზარს აწკარუნებს.) რა უნდა ვსთქვა, ბატონებო, იმ ფრაქციის შესახებ, რომელიც ბევრს ლაპარაკობს მუშათა კლასის და პროფესიონალური კავშირების ინტერესებისათვის, ე. ი. ხალხის თავისუფლების ფრაქციაზე, ამის საპასუხოთ მე მოვიყვან ერთ ადგილს ამ ფრაქციის დეპუტატ გერასიმოვის სიტყვიდან. (კითხულობს) „როცა მთავრობა ეხება იმ მოსაზრებას, რომ პროფესიონალური კავშირები წარმოების და მუშათა ინტერესებს გამოხატვენ, მთავრობის წინ მწვავე კითხვა სდგას, რომ პროფესიონალურ კავშირებში ფეხს იკიდებს პოლიტიკა და ამ შემთხვევაში მთავრობა ასე სჯის, უმჯობესია სულ არ იყოს პროფესიონალური კავშირები. მე ამას ვამბობ ფაქტების მიხედვით. მართლაც, რა აიძულებს მთავრობას ასე ანადგუროს პროფესიონალური კავშირები? მთავრობა ამბობს: ჩვენ გვეშინია მუშათა პარტიის გავლენის. ჩვენ გვეშინია, რომ პროფესიონალურ კავშირებში დაბუდებულია პოლიტიკური აგიტაცია. მაგრამ განა ამისთვის საჭიროა განსაკუთრებული და სხვა წესები? განა 1906 წლის 4 მარტის კანონი არ აძლევს უფლებას მთავრობას, რომ ებრძოლოს კანონის გადახვევას, რომელსაც მთავრობა ხედავს პროფესიონალურ კავშირებში?“ როგორც ხედავთ, ბატონებო, დეპუტატმა გერასიმოვმა პროფესიონალურ კავშირების შესახებ, რამდენათაც ისინი პოლიტიკურ მოქმედებას იჩენენ, გარკვევით წარმოსთქვა თავისი აზრი. ის ამბობს, რომ მთავრობას ხელში აქვს 1906 წლის 4 მარტის კანონი და ამ კანონის ძალით შეუძლია კავშირების განადგურება, ამიტომ მისთვის საჭირო არ არის სხვა ზომები. რაში მდგომარეობს კანონის გადახვევა—მთავრობა ამბობს: კანონის გადახვევა იმაში მდგომარეობს, რომ პროფესიონალურ კავშირებში მუშაობენ უმთავრესათ ს.-დემოკრატები და თუ იქ კანონს უხვევენ, ეს ს.-დემოკრატების ბრალია. მე მგონია, ასეთი პასუხი ვერ დააკმაყოფილებს ნამდვილ დემოკრატს. მე ამით დავათავებდი სიტყვებზე პასუხს, მაგრამ აქ მე ვხედავ, რომ (მარჯვნით უჩვენებს) ბევრი უკმაყოფილოა, რომ ისინიც არ მოვიხსენე). (მარჯვნით სიცილი) რამდენათაც მე ვიცი, თქვენ ჯერაც გაინტერესებთ მუშები, როგორც პროფესიონალურ კავშირებში, ისე მის გარეთაც, მაგრამ თქვენი ცდა ამაო იქნება. რა გინდათ თქვენ? თქვენ გინდათ შეადგინოთ შტრეიკბრეხერთა არმია, თქვენ გინდათ შეკრიბოთ მუშათა კლასიდან ისეთი ელემენტები, რომლებიც იცხოვრებენ თქვენი ნასუფრით. თუ ამ მხრით განაგრძობთ მუშაობას, შიში არ არის და გისურვებთ განაგრძოთ ასე მუშაობა (ხმები მარჯვნიდან: თქვენ არ მოგიტაცებთ. სიცილი) მთავრობის წარმომადგენელმა სხვათა შორის სთქვა, რომ ს.-დემოკრატებს სურთ პროფესიონალური კავშირები პოლიტიკურ ორგინიზაციებათ გადააქციონ და ახლო მომავალში შეიარაღებული აჯანყება მოახდინონ. ბატონებო! მან წაიკითხა ადგილი შტუტგარტის კონგრესის დადგენილებიდან. მე მას არ გავიმეორებ. სწორეთ ამ კონგრესზე გარკვევით იყო აღნიშნული, რომ ს.-დემოკრატიას არ უნდა ეხლავე პროფესიონალური კავშირები პარტიულ ორგანიზაციებათ გადააქციოს. წინააღმდეგ, როგორც შტუტგარტის, ისე სტოკჰოლმის კონგრესზე მკაფიოთ გამოითქვა აზრი პროფესიონალური კავშირების ნეიტრალობის შესახებ. მე ვიცი, ბატონებო, რატომ ახსნა ასე შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ეს რეზოლიუცია. შეიარაღებული აჯანყება და რევოლიუცია ეს ის საფრთხობელაა, რომელიც თქვენ თავზარს გცემთ. ამ სიტყვების ხსენების დროს თქვენ სრულიად იბნევით და ვერ მოგიხერხებიათ ობიექტიურათ შეხედოთ რასაც გელაპარაკებიან. (მარცხნივ ტაშის ცემა. მარჯვნით ხმაურობა. თავმჯდომარე, ზარს აწკარუნებს) ამ გვარათ, ბატონებო, ჩვენ აშკარათ გავიგეთ თუ რას აპირებს მომავალში მთავრობა პროფესიონალური კავშირების შესახებ. ეგ კიდევ ცოტაა. ჩვენ, ბატონებო, თქვენი პასუხიც მივიღეთ, თქვენ მთავრობასთან ერთათ ამბობთ, რომ დღეს მუშათა არავითარ ორგანიზაციების არსებობა არ შეიძლება. რატომ? იმიტომ, რომ მუშათა კლასი როცა ის ორგანიზაციებათ შეკავშირებულია, პოლიტიკურ მოქმედებას იჩენს. ეს სრული სიმართლეა, მაგრამ როცა ჩვენ მუშათა ორგანიზაციების შესახებ კითხვას ვუყურებთ, ეს მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხია. მუშათა კლასი ან ისეთ პირობებში უნდა ჩადგეს, რომ შეეძლოს არსებობა, ან და რუსეთმა უნდა შესწყვიტოს არსებობა, რუსეთი კი ვერ შესწყვეტს არსებობას, ის უნდა განვითარდეს და მისი მუშათა კლასიც უნდა განვითარდეს. ეს კითხვა მთელი სიგრძე სიგანით თქვენს წინაშე სდგას, ბატონებო, და მისი ზურგის აქცევა არას გზით არ შეგიძლიათ. სამინისტროს წარმომადგენელმა ირონიულათ განაცხადა, რომ ის არ დაემორჩილება ს.-დემოკრატიულ ფრაქციის დირექტივებს. მე თქვენ მოგაგონებთ, რომ ეფექტის გულისათვის მინისტრის ამხანაგმა განაცხადა, რომ თითქო ფრაქციასთან არსებობს კომისია, რომელიც ანკეტას ახდენს. მე მგონია, ეგრეთ წოდებულ მთავრობის წარმომადგენელსაც კი არ ეკადრება ასეთ ხერხს მიმართოს. მე უნდა მოგაგონოთ, ბატონებო, თქვენც და მასაც, რომ ერთი გარემოება ხშირათ გავიწყდებათ: თუ მინისტრის ამხანაგი იძულებული შეიქნა აქ მოსულიყო და ელაპარაკნა თქვენს წინაშე, ეს უმთავრესათ იმან გამოიწვია, რომ ერთ დროს პროლეტარიატმა მისცა თავის დირექტივები. და ჩვენ, ს.-დემოკრატები, მიუხედავათ თქვენი დამოკიდებულებისა პროფესიონალურ კავშირებისადმი, ვიმუშავებთ იმ მხრით, რომ მუშათა კლასის დირექტივები ისევ სავალდებულონი გახდენ, როგორც მთავრობის წარმომადგენლებისათვის ისე თქვენთვისაც. (მარცხნივ ტაშის ცემა. ნოვიცკი მეორე ადგილიდან—დირექტივები ბომბებით?).

**დაბა ხაშურიდან** (გორის მაზრა) თფილისში ჩამოვიდნენ არჩეული პირები რკინის გზების უფროსთან საშუამდგომლოთ იმის შესახებ, რომ რკ. გზ. უფროსმა ნება დართოს ხაშურის მცხოვრებთ ისარგებლონ რკინის გზის მილების წყლით, რადგან რკინ. გზის სამმართველოს მიერ სადგურ მიხაილოვის მახლობლათ გაყვანილია სიბინძურის საწმენდის თხრილი, რის მიზეზით მცხოვრებლების ჭებში წყალი სრულიად გაბინძურებულია.

**„ჟურ. ჯეჯილის“** 20 წლის არსებობის აღსანიშნავათ ქალაქ თფილისის პირველ-დაწყებით სკოლების მასწავლებლებს განუზრახავთ საშობაო უქმეებზე წარმოდგენა გამართონ სკოლებში. წარმოდგენებზე პატარა მოსწავლეები წაიკითხავენ სხვა და სხვა დროს „ჯეჯილში“ დასტამბულ ლექსებს. მასწავლებლები გააცნობენ მსმენელთ ამ ჟურნალის მოღვაწეობასა და მნიშვნელობას.

**ქალაქის გამგეობამ** რამდენჯერმე სხდომა მოახდინა უმაღლეს საქალებო კურსებისათვის 500 მ. გადადების შესახებ, მაგრამ ჯერ ამის შესახებ არაფერი დაუდგენიათ, რადგან ჯერ ამ ფულის წყარო ვერ აღმოაჩინეს.

**10 მილიონ მან. განაწილება.** რკინის გზების სამმართველოში ამ ჟამათ ირჩევა საკითხი რკინის გზების მოსამსახურეთა საპენსიო კასაში შემოსული დარჩენილ 10 მილიონ მანეთის განაწილების შესახებ. ამ ფულის ნაწილის მიღება შეუძლია იმ პირთ, რომელნიც სამსახურში 1904 წლიდან 1908 წლამდე ითვლებოდენ.

**ახალი საავათმყოფო.** საგუბერნიო სამკურნალოს განყოფილებას დაუდგენია გაიხსნას საავათმყოფო დუშეთის მაზრის ს. პასანაურში და საფერშლო პუნქტი ს. ბულაჩაურში.

**არამიანცის სახელობის საავათმყოფოში** უკვე მოწვეულია და დამტკიცებული დაბალი და საშვალო მოსამსახურეები. საავათმყოფო 20 დეკემბრიდან იწყებს მოქმედებას.

**საშობაო წარმოდგენა.** ქალაქის სამოსწავლო კომისიამ დადგინა ქალაქის სკოლების მოსწავლეებსა და მასწავლებელთათვის საშობათ წარმოდგენა გამართოს ქალაქის ხარჯზე სახალხო სახლში.

**წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელში** 29 ნოემბერს პოეტ კოლცოვის პატივსაცემათ სალიტერატურო დილა გაიმართება.

**ბომბები და არა ლეგალური ლიტერატურა.** ბათუმის რკ. გზის სადგურზე, წარსულ ორშაბათს შეიპყრეს ხონის მცხოვრები იოანე ცაგურიშვილი, რომელსაც 3 სასროლათ დამზადებული ბომბა და რამდენიმე ცალი არალეგალური ბროშურები უპოვეს. ი. ცაგურიშვილმა განაცხადა: ბომბები ბათუმში დავამზადე და ქუთაისში მიმქონდა, რომ ფულიან ფოსტას დავცემოდიო.

**ბაკურიანში** ამ ჟამათ თფილისის ბატანიკურ ბაღის გაყოფილების ასაგებათ მუშაობა სწარმოებს.

**სიეზდის დახურვა.** 24 ნოემბერს დამთავრდა კავკასიის მეურნეთა სიეზდი.

**ახალი გაზეთი.** მომავალ წლის იანვრიდან ბაქოში გამოსვლას იწყებს ახალი სომხური გაზეთი ი. არტპეტას რედაქტორობით.

**საავადმყოფოს გადიდება.** ქალაქის სამკურნალო საკრებულომ გადასწყვიტა შეიძინოს 1220 ოთხ. კუთხ. საჟენი მიწა სიფილისით ავათმყოფთათვის საავათმყოფოს გასადიდებლათ.

**მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას** — შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოკვლევით, 1905 წლიდან 300,000 კაცი ჩამოშორებია.

**საქველმოქმედო სალამო.** გუბერნატორმა ნება დართო სომხურ საქველმოქმედო საზოგადოებას სალამო გამართოს „არტ. საზ.“ შენობაში 12 დეკემბ.

**თფილისში ჩამოვიდა** ქუთაისის გენ.-გუბერნატორი სლავოჩინსკი.

**ავლაბრის თეატრი.** კვირას, 6 დეკემბერს ავლაბრის თეატრშიც გაიმართება გაბუნია-ცაგარლის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად სადღესასწაულო წარმოდგენა. ამ დღისთვის ქართული და სომხური დრამატიული ხელოვნების მოყვარულთა ჯგუფები შეერთებულან და მართავენ ქართულ-სომხურ წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება ნ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით „ორი ობოლი“ მე-5 მოქმედება და „ხანუმა“ 1-ლი მოქ. და სომხურათ „დაქცეული ოჯახი“-ს მე-3 მოქმედება. დასასრულ საკონცერტო განყოფილებაში დრამატიულ ხელოვნების მოყვარულნი ქართულ-სომხური ჯგუფები მიულოცავენ იუბილიარს დღესასწაულს. მომღერალთ გუნდი იმღერებს ქართულათ ბ. ჩარკვიანის ლოტბარობით და სომხურათ ბ. მურადიანისა, შემოსავალი გადაეცემა გაბუნია-ცაგარლის მოხუცებულობის უზრუნველ საყოფელ ფონდს.

**შეპყრობილის გამოცნობა.** 29 ოქტომბერს შეპყრობილი გ. ს. ბაგაროვი, პოლიციის გამოცნობით ვაჭარ კ. მირაკოვის გატაცებაში მონაწილეობის მიმღები ყოფილა.

**სალდათის შეპყრობა.** 24 ნოემბერს, მე-2 საპოლიციო უბანში პოლიციამ შეიპყრო შუშის მაზრის მცხოვრები ა. ა. თარხანოვი, რომელიც სალდათობას ემალებოდა.

**გადასახლებული.** 24 ნოემბერს პოლიციამ შეიპყრო თფ. მოქალაქე გ. თუნიშანოვი, რომელიც მთავრობის მიერ გორში იყო გადასახლებული, მაგრამ იქიდან თავის ნებით დაბრუნებულა თფილისში. შეპყრობილს სამართალში აძლევენ.

# უკანასკნელი ფოსტა

### ოსმალეთი.

**მექრთამეების დევნა.** სტამბოლიდან მიღებული ცნობებით ოსმალეთის შინაგან საქმეთა მინისტრს გადაუწყვეტია პასუხის გებაში მისცეს ძველი რეჟიმის მოხელეები, რომელთაც მექრთამეობა ბრალდებათ. ასეთი მოხელე აღმოუჩენიათ 1,500 კაცი.

### საზღვარ-გარეთ

**პარლამენტი დირიჟაბლში.** რომიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ პალატის პრეზიდენტი, სენატის ვიცე-პრეზიდენტი, სენატორები და მრავალი დეპუტატები ბრატიამოს ტბას ზემოთ დირიჟაბლით რამდენჯერმე აფრინდენო.

**ბურცევი ამერიკაში.** პარიზიდან „ბირჟევია ვედომოსტის“ დეპეშითატყობინებენ, რომ ბურცევი ამერიკაში წასასვლელათ ემზადებაო. ბურცევს აზრათ აქვს თურმე ამერიკაში რამდენიმე მოხსენება წაიკითხოს პროვოკაციის შესახებ.

**„პატიოსანი“ ექიმი.** ინსბრუკში (ტიროლი) მთავრობის ექიმმა, რომელსაც მინდობილი ქონდა საქალებო გიმნაზიაში მოწაფეთა ჯანმრთელობის გამორკვევა, რამოდენიმე დღის განმავლობაში 11 მოწაფე ქალი გააუპატიურა თავის კაბინეთში. ექიმი დაატუსაღეს, მაგრამ ციხიდან გაიპარა.

### შორეული აღმოსავლეთი

**იაპონია და ჩინეთი.** პეკინიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ 12 პროვინციალურმა პარლამენტმა მთავრობას მიმართა თხოვნით, სამსახურიდან დაითხოვოს გარეშე საქმეთა სამინისტროს ის მოხელენი, რომლებსაც 4 სექტემბერს იაპონიასთან დადებულ ხელშეკრულობაზე ხელი უწერიათ. მთავრობას ამ მოთხოვნილებაზე ჯერ პასუხი არ გაუცია.

**მდგომარეობა მანჯურიაში.** ხარბინიდან მიღებული ცნობებით სამხრეთ მანჯურიაში არეულობა ისევ დაიწყო. იაპონელები ქ. დალნში გაზეთ „სამხრეთ მანჯურიას“ სცემენ. გაზეთს მიზნათ აქვს გამორკვიოს რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიური მოღვაწეობა მანჯურიაში.

### რუსეთი

**სიკვდილით დასჯის მოსპობა.** სოც. დემ. ფრაქციამ და ტრუდოვიკებმა დუმის თავმჯდომარის სახელზე განცხადება შეიტანეს, რომ დუმამ აიძულოს სასამართლოს კომისია რაც შეიძლება მოკლე ხანში წარუდგინოს დუმას განსახილველათ კანონ-პროექტი სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ.

**დეპუტატებისთვის დუელის აკრძალვა.** დეპუტატმა შინგარიოვმა დუმის წევრებს ხელი მოაწერია კანონ-პროექტზე, რომელიც ახლო მომავალში შეტანილი იქნება დუმაში. ამ კანონ-პროექტის ძალით დეპუტატებს აკრძალული ექნებათ დუელში გასვლა, წინაამდეგ შემთხვევაში დუელიანტს დეპუტატობის წოდება ჩამოერთმევა. კანონ-პროექტს ხელს აწერენ ყველა პროგრესისტები.

**ქრთამი უნივერსიტეტში.** განსაკუთრებულ მინდობილების გამომძიებელმა დეპუტატი ნიკოლსკი დაიბარა და ჩვენება ჩამოართვა. ნიკოლსკის ნოვოროსიის უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უჩივის ქრთამის აღება დაგვწამაო. ნიკოლსკიმ გამომძიებელს 12 წერილი გადასცა, რომელიც ამტკიცებს, რომ სტუდენტათ ჩარიცხვის დროს უნ. ადმინისტრაცია ქრთამს იღებდა.

**200 დამშეული ოჯახი** დეპუტატმა კონდრატიევმა ეკატერინბურგიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: დაიხურა ქვეთოვის ქარხნები და მაღაროები. 200 ოჯახი უმუშევრათ დარჩა. მუშების მდგომარეობა უმწეოა. დაიწყო შიმშილობა. ქარხნების გამგე დახმარებაზე უარს ამბობს.

კონდრატიევმა ამ საქმის გამო ვაჭრობის ახალი მინისტრი ტიმაშევი ინახულა. მინისტრმა ყურადღებით მოუსმინა დეპუტატს და აღუთქვა დაუყონებლივ ზომების მიღება.

**არეულობა სემინარიაში.** პეტერბურგის სასულიერო სემინარიაში მოწაფეებმა არეულობა მოახდინეს. მოწაფეები უკმაყოფილონი არიან ინსპექტორით და მისი თანაშემწეთი. მოწაფეებმა სემინარიის კულუარებში მოწოდება გააკრეს, რომლითაც ინსპექტორისა და მისი თანაშემწეს დათხოვას მოითხოვენ.

**ქალ. თვითმართველობის დახმარება.** პეტერბურგის ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა ლიტერატორთა და მეცნიერთა კასას ყოველ წლიურათ 500 მანეთი დაუნიშნოს. ამ ფულით დახმარება უნდა აღმოუჩინონ პეტერბურგის მოხუცებულ მწერალ-მეცნიერებს.

**ბავშვების თავშესაფარი.** პურიშკევიჩის თაოსნობით ხელის მოწერა გაიმართა ჰეშ. რ. კავშირ. წევრთა ბავშვებისათვის თავშესაფარ-შკოლის დასაარსებლათ. თ. ტენიშევს ამ მიზნისთვის 3,000 მანეთი შეუწირავს, ხელის მოწერით 2,000 მ. შეუგროვებიათ. ამ ფულით პირველი დეკემბრიდან პირველ შკოლას გახსნიან 30 ბავშვისთვის.

**მიცვალებული ტომარაში.** ოდესიდან მექაში გამგზავრებულ გემზე „კორნილოვზე“ მლოცველ მაკდუბაევს ტომარაში მიცვალებული ცოლის გვამი აღმოაჩნდა. მაკდუბაევმა განაცხადა, მიცვალებულის დამარხვის ნებართვის აღებას იმდენი წვალება სჭირდება, რომ ისევ მიცვალებულის ტომრით თან წაღება გადავსწყვიტეო. მაკდუბაევი დაატუსაღეს.

**უხერხული მდგომარეობა.** მიმდინარე წელს ნოვოროსიის უნივერსიტეტში საპროცენტო ნორმის მიხედვით ერთი ოქროს მედლით დაჯილდოვებული ებრაელი მიუღიათ. ცოტა ხნის შემდეგ სტუდენტმა მართლმადიდებლობა მიიღო და ებრაელისთვის ერთი ადგილი გაანთავისუფლა. უნივერსიტეტის გამგეობამ თავისუფალ ადგილზე მიიღო მეორე ებრაელი კანდიდატი. პირველმა ისევ გამოიცვალა სარწმუნოება. ამნაირათ, ებრაელთათვის დანიშნულ ერთ ადგილზე ამ ჟამათ ორი სტუდენტი ირიცხება. უნივერსიტეტის მთავრობა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, აღარ იცის რა ქნას. ამ საკითხის გადასაწყვეტათ უნივერსიტეტის გამგეობამ სახალხო განათლების მინისტრს მიმართა.

# პროვინცია

**ქსნის ხეობა** (დუშეთის მაზრა). არ მგონია ისე ადვირწახსნილი მადა ქონდეთ ვაჭრებს სხვაგან, როგორც აქ. იყო დრო, როდესაც ს. ახალგორის ვაჭრებს ხალხის მოკეთეებათ თვლიდათ თავი და ყველას ძმობაერთობას ეფიცებოდნენ, მაგრამ ეს დრო წავიდა და ვაჭრებმაც ფერი იცვალეს და ნამდვილი სახე დაგვანახეს. რა მხრიდან გინდათ ისინი, რომ გლეხებს არ ატყუებდენ. მე თვითონ შევესწარ ერთ ვაჭარს, რომელიც გლეხს ფულის სარგებელს სთხოვდა. შევეკითხე გლეხს — რა უნდა მეთქი? გლეხმა მიპასუხა, რომ ფული მემართა, მივეცი ვექსილი კი, მაშინ არ მომცა, ეხლა კი მეორეთ მთხოვს ფულსაო. როცა ათასგვარ გასასხადებით შევიწროვებული გლეხი მიდის აქაურ ვაჭართან თუ ას მანეთში ორასი მანეთის ვექსილი არ მისცა, ისე ფულს არ ასესხებს. ხშირია ისეთი შიმთხვევა, რომ ას მანეთში ორასს იხდიან და ისიც სარგებლით. ბევრს არას ვიტყვი აქაურ მემამულეებზე, თუ ერთი მემამულე სასტიკათ ახდევინებს გადასახადებს გლეხებს და მეორე რბილათ ექცევა. მას საყვედურს უცხადებენ დანარჩენები: ეხლა ჩვენი დრო არის და უნდა ვისარგებლოთო.

აქაური სულიერი მამებიც უფრო მეტათ თავიანთ მუცლისა და დრამა-ფულისთვის ზრუნავენ. „გიყვარდეთ უფროსი, დროზე გადაიხადეთ დრამა-ფული და სხვა“. აი მათი ყოველ დღიური ქადაგება.

ვერმიცანაშვილი.

—

**რაჭა.** თუ სადმე გასავალი აქვს დღეს სხვადასხვა ცრუმორწმუნეობას და ძველ ჩვეულებას, ეს რაჭაშია. ეს გარემოება კი იმით აიხსნება, რომ რაჭა კულტურულათ ჩამორჩენილია და ხალხის გონებრივი განვითარება პირველ საფეხურზე დგას. აქაურ სოფლებში ძვირათ შეხვდებით რაიმე კულტურულ დაწესებულებას, ხალხი სიბნელის მორევში იხრჩობა. ავიღოთ თუ გინდ საექიმო დახმარება. აქაურ გლეხობას ჯერ კიდევ ვერ შეუგნია, რომ ავათმყოფს ექიმი და წამლობა უნდა. თუ ვინმე ავათ გახდა, აქაური გლეხი ან ხატთან მირბის და ან სოფლის ექიმბაშებთან. სოფელ სხვავაში გიდაც ექიმბაში ადექსი დიდი სახელგანთქმულია. მას აუარებელი ავათმყოფები ეხვევიან. ის ყოველივე ავათმყოფობას არჩენს. მასთან მიდიან უშვილო ქალებიც და მისგან ხსნას ელიან, რომ შვილი ეყოლოთ. ეს ცრუ ექიმბაში რჩევადარიგებაში დებულობს 50 კ. წამლობაში კი როგორც ფულს, ისე ბატს, ინდაურს, ქათამს და სხვა. გაუნათლებელ ხალხს ვერ შეუგნია, რომ ასეთი მატყუარა ექიმბაში მათ ვერაფერს უშველის თუმცა იქვე ამბროლაურში არის ექიმი, არის წამალი, შეუძლიათ უფასოთ ისარგებლონ ყველა ამით, მაგრამ მაინც ექიმბაშებთან გარბიან და თავიანთ ავათმყოფებს დაუხმარებლობის გამო უდროოთ წუთის სოფელს ასალმებენ.

—

**ს. უშაფათი** (სენაკის მაზრა). ისეთ მოზრდილ სოფელს, როგორიც არის უშაფათი, იშვიათად შეხვდებით მთელს სენაკის მაზრაში. მცხოვრებთა რიცხვი 300 კომლამდეა. აქაური მიწები სრულიად გამოფიტულია და მოსავალი ნაკლები მოდის. ხალხი მეტათ ღარიბია.

მიუხედავათ ამისა მცხოვრებთ სურვილი აქვთ სწავლა-განათლების და კულტურის, მაგრამ სიღარიბეს გარდა სხვა მიზეზებიც ხელს უშლის. არავინ არის ისეთი, რომ იკისროს რაიმე საზოგადო საქმის ინიციატორობა, როგორიც არის მაგალითად სამკითხველოს და სკოლის გახსნა. აქაური ახალგაზდობა უფრო მეტათ კარტ-ნარდს და სამიკიტნოს ეტანება. მთელ სოფელში მხოლოდ ერთ ერთი კლასიანი საეკლესიო შკოლა არსებობს, რომელიც მცხოვრებთა ერთ მესამედს ვერ აკმაყოფილებს.

აქეთ ძლიერ გავრცელებულია სხვა და სხვა გადამდები ავადმყოფობა, რომელიც მუსრს ავლებს მთელ მცხოვრებთ. აქ არ არსებობს აფთიაქი და ფერშალიც არა გვყავს.

ამ ბოლო ხანში ცხრა საზოგადოებამ, რომელთა რიცხვში უშაფათიც არის, თხოვნით მიმართა მთავრობას რათა სესხად მიეცეთ მათ 5000 მანეთი.

აკაკი.

### წერილები რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ წერილს თქვენს პატივცემულ გაზეთში.

ექიმმა ი. ე. ჯაშმა მე გამომიწვია სამედიატორო სამართალში გაზ. „მომავალის“ საშუალებით, რაზედაც მე თანხმობა განვაცხადე. სიმართლის და ჭეშმარიტების გამოსარკვევათ ძლიერ საჭიროთ ვცანი და მოვითხოვე მისგან, რომ ერთი მედიატორეთაგანი ექიმი დაენიშნა, როგორც საგანთან ახლოს მდგომი. მე ჩემის მხრით დავუსახელე მედიატორეებათ ერთი ექიმი რ. ნანეიშვილი და მეორე ი. გონელიძე და ველოდი მისგნითაც მედიატორეების დასახელებას და კულტურული საშუალებით სიმართლის გამორკვევას, მაგრამ მან, ი. ჯაშმა, რაღაც მოსაზრებით აზრი შეიცვალა და „მომავალის“ მე-65 №-ში სწერს: „იაქეს ყინიანობაზედაც ვსთანხმდებოდი, მისგან საკმარისს გარანტიას პირობის შეცვლისას, რომ არ ვხედავდეო“. ქვემოთ სწერს: „თუ ჩვენი მითითება მოსამართლეების ამორჩევაზე საჭირო არ არის თქვენთვის, თქვენი მითითებაც რატომ უნდა იყოს სავალდებულო ჩვენთვის და ამით თქვენ ჩვენი ნდობით აღჭურვილ პირების «სამართლიანობაში» ეჭვი შეგაქვსო, რაც ჩვენ ახალ შეურაცხყოფათ მიგვაჩნია მათთვის, ამისათვის თქვენთან საამხანაგო სამართალზე მსჯელობა უადგილოთ მიმაჩნია, დღეიდან ვსპობ თქვენთან ყოველივე კამათს და მივმართავ ოფიციალურ სასამართლოს, სადაც «მედია გამობრძანდებითო“.

„მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო“ რომ იტყვიან, ეს არის, ის სხვათა შორის ახალ ბრალს მდებს, თითქო მის მედიატორეებს ვუყურებდე უნდობლათ და სხვ. მოვაგონებ ბ-ნ ექიმს, რომ მე მოვითხოვდი ერთი მედიატორე საჭიროა ექიმი, რადგან აქ უნდა გარჩეულიყო ექიმის მოვალეობა. ამ ბოლო დროს, არ ვიცი, რა მოსაზრებით, ყოველივე ჩემს სამართლიან მოთხოვნილებას ექიმი ჯაში გაურბის და ოფიციალურ სასამართლოში მიბარებს საქმის გასარჩევათ.

უკანასკნელათ ვაუწყებ ბ-ნ ექიმ ჯაშს, რომ მე მრწამს ამხანაგური სასამართლო, რომელიც ერთათ ერთ კულტურულ საშუალებათ ითვლება ასეთ შემთხვევაში და ვინც ამას გაურბის და უარს ყოფს, მისი ნებაა, მხოლოდ, რადგან მე პირადათ მისი უარისყოფა არ შემიძლია, ვაცხადებ: ჩემი წერილის დედა-აზრის შინაარსის სიმტყუნ-სიმართლე რომ გამოცხადებულ იქნეს ყველას საყურადღებოთ და რომ არ დარჩეს დახურულ ოთხკედელში ყოველივე ამის შესახებ ნარკვევი-განაჩენი, მე იძულებული ვხდები და ვაცხადებ თანხმობას მის მიერ ძველ არჩეულ მედიატორეებზე, რომ მით დავამტკიცო სიმართლე და ჭეშმარიტება მკითხველ საზოგადოების წინაშე. მედიატორეთა განაჩენი უნდა დაიბეჭდოს გაზეთებში.

იაქე.

რედაქტორ-გამომცემელი

ნ. მელიქ-შახნაზარიანცი


**გამოვიდა და იყიდება**

საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში

— ● **კედლის კალენდარი 1910 წ.** ● —

შედგენილი გრ. ჩარკვიანისაგან და გამოცემული „სორაპანი“-ს ამხანაგ. მიერ

ფასი 40 კაპ.

═● **სახალხო კალენდარი** ●═

1910 წლ. შედგენილი მ. გაჩეჩილაძისაგან. ვინც ერთად არა ნაკლებ 50 ცალისას იყიდის 20 პროც. დაეთმობა.

ადრესი: Тифлисъ т-во. „Сорапань“.

(15—1)

**1910 წლისათვის**

მიიღება ხელის მოწერა

**ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე**



**მათრახი**

და სალამური

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს აგვისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთათ

**პრემიათ გაეგზავნება**

**ახალი კრებული**

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარმოებნი და სხვა. როგორც ორგინალური ისე ნათარგმნი.

**წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ეღირება 1 მ.**

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზდა მწერლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის **სრულად უნდა აუცილებლათ შემოიტანონ პირველ ივნისამდე.** ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ: პირველათ 2 მ. 50 კ. დანარჩენი 2 მ. 50 კ. პირველ ივნისამდე.

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა იმავ ფორმატით და იმავ შინაარსით. რედაქცია ეცდება გააუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიიღებენ: **აზიანი, ბლიკვამე, განჯის-კარელი, ეშმაკი, გოლდემარი, ზომლეთელი, თურდოსპირელი, იასამანი, კენტი, ლეჩხუმელი, მალაქიაშვილი, პიტნა, ტ. რამიშვილი, რუხამე, რუშაველი, ტუქსიშვილი, ფონ-ტეფო, ქუჩიშვილი, შხანკოლა და სხვანი.**

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ Типографія Т-ва „Шрома“ Василію Карамановичу Болквадзе.